ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №319854

ნომერი: AR174902

თარიღი : 21.08.2012

გაცემის თარიღი : 22.08.2012

გაცნობის თარიღი : 23.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ, (ნაკვეთი N3/59) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო გოგილაშვილი პ/ნ 01006000206
- თბილისი ნ.ხუდადოვის ქ. N 7

ორგანიზაცია:
- ლ არქიტექტსი კოდი: 202457910

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის #280340 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ.თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 21 აგვისტოს #არ174902 განცხადებით მომართა მოქ. ლადო გოგილაშვილმა და მოითხოვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2012 წლის 26 ივლისის #280340 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების ნაწილში, ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012წ. #280340 ბრძანებით ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ, შპს „ზემო–ვაკის აპარტამენტები“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის ინფორმაციით კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ განაცხადის რეგისტრსციის დროს არასწორად იქნა შევსებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვნებლების ამსახველი გრაფები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ:
განმცხადებლის მიერ ტექნიკური შეცდომა იქნა დაშვებული საპროექტო შენობნის საერთო ფართისა და მასში შემავალი სხვა დანიშნულების ფართების ციფრობრივი მაჩვენებლების დაფიქსირების დროს. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ კორექტირებულ ტექნიკურ– ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული საერთო ფართი შეესაბამება მასში შემავალი სხვა დანიშნულების ფართების ჯამს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმადადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის #280340 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართი და მასში შემავალი ფართები დაფიქსირდეს შემდეგი სახით:

- საერთოფართი: 17784.1

მათ შორის:

- საცხოვრებელიფართი: 11966.5
- კიბისუჯრედის ფართი: 1722.9
- კომერციულიფართი: 483.6
- სარდაფისფართი: 268.8
- დამხმარეფართი: 61.5
- საზაფხულოფართი: 1249.4
- ავტოსადგომების ფართი: 2031.4

1. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის #280340 ბრძანებასთნ ერთად;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.